საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1041/01
04/02/2022

1041-01-2-202202041406

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას"
მის: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N5

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2022 წლის 18 იანვარს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი №464/1 განცხადება, რომელიც ეხება ქ. მარტვილში, საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ ზედაპირული წყლის ობიექტში (მდ. აბაშისწყალი) წყალჩაშვების წერტილი მდებარეობს გამწმენდი ნაგებობიდან 53 მეტრის დაშორებით, თუმცა წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობიდან გამომავალი წყლების წყალჩაშვების წერტილამდე მიწოდების შესახებ, შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტის მითითებით. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი GPS კოორდინატების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ წყალჩაშვების წერტილსა და გამწმენდ ნაგებობის შორის მდებარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 41.09.39.629), რომლის გადაკვეთა საჭირო იქნება წყალჩაშვების წერტილამდე ჩამდინარე წყლების მიწოდებისთვის. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის აღნიშნული მიწის ნაკვეთის გადაკვეთის შესახებ ინფორმაცია. ამასთან გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;
- გზშ-ის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ shp ფაილებს არ აქვს მინიჭებული კოორდინატთა სისტემა (გეოგრაფიული პროექცია). ამასთან, shp ფაილებში არ არის

ასახული გამწმენდი ნაგებობიდან გამომავალი წყლების წყალჩაშვების წერტილამდე მიწოდებისთვის განკუთვნილი არხის დერეფანი;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია გამწმენდი ნაგებობის ადგილმდებარეობის ალტერნატივები, თუმცა საკანალიზაციო კოლექტორის ალტერნატივები განხილული არ არის, რაც განსაზღვრული იყო 2021 წლის 20 სექტემბრის N44 სკოპინგის დასკვნით. გარდა ამისა, გამწმენდი ნაგებობის ადგილმდებარეობის ალტერნატივის დასაბუთებაში მითითებულია, რომ ალტერნატივით შერჩეული ტერიტორიის მდებარეობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი იქნება მარტვილის სრული დასახლების საკანალიზაციო სისტემაში ჩართვა, თუმცა გზშ-ის ანგარიშის მიხედვით საკანალიზაციო სისტემის მომსახურების არეალი სრულად არ დაფარავს მარტვილის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზემო ნაგვაზაო და სოფ. ქვემო ნაგვაზაოს მოსახლეობას (დაფარვის ზონაში მოხვდება სოფ. ზემო ნაგვაზაოს და სოფ. ქვემო ნაგვაზაოს მოსახლეობის 15%), შესაბამისად ზემოაღნიშნული საკითხი დასაზუსტებელია;
- გზშ-ის ანგარიშში, გვ. 140-ზე (15.1.6 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში, მიღებული შედეგები და ანალიზი) მითითებულია, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან მდებარეობს 400 მეტრის დაშორებით, ხოლო გვ. 149-ზე (15.3.1 ხმაურის გავრცელება მშენებლობის ეტაპზე) მითითებულია 500 მეტრი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სათანადოდ არ არის განხილული 2021 წლის 20 სექტემბრის N44 სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები: ჭარბი ლამის განთავსების ტერიტორიის **GPS კოორდინატები**, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ლამის მართვის დეტალური საკითხები (დასტაბილურება, შესქელება, **ტრანსპორტირება, საბოლოო განთავსება**); საპროექტო ტერიტორიაზე **ლამის დროებითი დასაწყობების ტერიტორიის აღწერა;** ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი **ჭარბი ლამის სათავსოს პარამეტრები;** ნიადაგის ნაყოფიერების განმსაზღვრელი მეთოდური კვლევა და მასზე ზემოქმედება (დასაწყობების ადგილების მითითებით); ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშის 25-ე თავში „სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება“ მითითებულია, რომ „სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით“. აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან შენიშვნები/მოსაზრებები გამოითქვა საკანალიზაციო სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მომსახურების არეალის შესახებ, რაც ასევე ასახულია 2021 წლის 20 სექტემბრის N44 სკოპინგის დასკვნაში;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, წყალარინების ქსელის საერთო სიგრძეა დაახლოებით 33 კმ. მილსადენის სიგრძის გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მილსადენის გაყვანის ტექნიკური გადაწყვეტისა და გადასაკვეთი ობიექტების/კომუნიკაციების შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ საკანალიზაციო ქსელიდან გამწმენდ ნაგებობაში ჩამდინარე წყლების მიწოდება მოხდება თვითდენით, თუმცა გვ. 20-ზე წარმოდგენილ სქემაზე აღნიშნულია „კანალიზაციის სატუმბი სადგური“, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის დოკუმენტში წარმოდგენილი ექსპლუატაციის ეტაპის მონიტორინგის გეგმაში მოცემული ჩამდინარე წყალში დამაბინძურებელი ნივთიერებების ლაბორატორიული კვლევის ჩატარების სიხშირე არ შეესაბამება გზშ-ის დოკუმენტზე თანდართულ ზდჩ-ის ნორმების პროექტში მოცემულ შესაბამის დამაბინძურებლებზე კვლევის ჩატარების სიხშირეს. შესაბამისად საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის დოკუმენტზე თანდართულ ზდჩ-ის ნორმების პროექტში არ არის წარმოდგენილი მიმღები წყლის ობიექტში არსებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ფონური კონცენტრაციის ლაბორატორიული კვლევის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა დაგეგმილი არ არის, რადგან ტერიტორია, სადაც დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის მოწყობა „თავისუფალია ხე-მცენარეებისგან და ძირითადად წარმოდგენილია ქვიშა-ხრეშოვანი ნაყარით, რომელთა შორის ამოსულია მხოლოდ ბალახი“. აღსანიშნავია, რომ ბალახოვანი საფარი წარმოდგენილი ვერ იქნება იმ ტერიტორიაზე, სადაც არ არსებობს ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინებით და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ინფორმაცია ნიადაგის მოხსნის, დასაწყობებისა და შემდგომი მართვის შესახებ.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე